

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წლის მარტის თვეში ჩატარებული სოფლის კრებები და სოფლის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა სოფლად მცხოვრები ქალთა ჩართულობითა და მონაწილეობით



ქედის მუნიციპალიტეტი 2016 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“




„ქალების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში“



## „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ - 2016


ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, შენობების რეაბილიტაციისა და აღჭურვის, აგრეთვე, წლების განმავლობაში გადაუჭრელი სხვა პრობლემების მოგვარების შესაძლებლობა კიდევ ერთხელ მიეცა მიმდინარე წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას.



2009 წლიდან დაიწყო სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, რაც გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სახის საჭიროებების მოგვარებას და საჭიროებათა მოგვარებაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას.

პროგრამისთვის ქვეყნის მასშტაბით 50 მილიონი ლარია გამოყოფილი, აქედან ქედში 596 828 ლარის დახარჯვა იგეგმება. შეხვედრის მიზანია მოსახლეობის ფართო ჩართულობა და პრიორიტეტების გამოვლენა, რომელიც მიმდინარეობს გრაფიკის მიხედვით, ყოველი თვის მარტის თვეში, რომელშიც მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

„მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ (აფინანსებს შვეიცარიის განვითარების სააგენტო SDC და ახორციელებს Mercy Corps) წარმომადგენლობამ სოფლის კრებების ეფექტურად დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით, 5 თებრვალს მოაწყო შეხვედრა „ბათუმის ქალთა ოთახში“, სადაც მიწვეული იყო ხუთივე მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწეები გენდერული თანასწორობის საკითხებში. ტრენინგის მონაწილეებს პრეზენტაციის სახით გააცნეს „რამდენიმე ძირითადი წესი გამგებლის წარმომადგენლებისათვის სოფლის კრებებზე მამაკაცებისა და ქალების თანაბარი დასწრების უზრუნველსაყოფად“ და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტურად განხორციელება საზოგადოების ჩართულობით“.



ასევე, შეხვედრაზე საუბარი იყო ქალების მიერ თავიანთი უფლებების, მოვალეობების და როლის გააზრებაზე. აღინიშნა, რომ ქალებისთვის აუცილებელია ისეთი ტიპის ცოდნის გადაცემა, რომელიც გულისხმობს საკუთარი ინტერესების ლობირებას თვითმმართველ ორგანოებში,

მნიშვნელოვანია, ქალებს გაეზარდოთ წვდომა მათთვის სასურველ ინფორმაციაზე, რის შედეგადაც, ისინი შეიძენენ ისეთ უნარ-ჩვევებს, რომლებიც უზრუნველყოფს მათი სამოქალაქო ჩართულობის დონის გაზრდას. მოსახლეობაში უნდა შეიცვალოს ინდიფერენტული დამოკიდებულება ადგილობრივების პრობლემების მიმართ. ისინი ხშირად თავიანთ პასიურობას ამართლებენ იმით, რომ „მაინც ვერაფერს შეცვლიან“, რაც თავის მხრივ, ინფორმაციის ნაკლებობით არის გამოწვეული. მოსახლეობამ არ იცის როგორ დასვას პრობლემა, როგორ გაერთიანდეს პრობლემის გარშემო, როგორ დააყენოს საკითხი თვითმმართველობების ორგანოების წინაშე, როგორი ურთერთობა ჰქონდეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან. სწორედ ამ ყველაფრის დანერგვასა და განხორციელებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვით გენდერულ მრჩეველებს.



შეხვედრა დისკუსიის რეჟიმში წარიმართა. როგორც მსმენელებმა აღნიშნეს, „ინფორმაციულად მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, სადაც მივიღეთ პრაქტიკული რჩევები და მითითებები როგორ ვიმუშაოთ მოსახლეობასთან, რათა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განსხვავებული სქესის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი“.

„მსაგავსი ტიპის ტრენინგები მოეწყობა მუნიციპალიტეტებში ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელებისათვის, სოფლის სპეციალისტებისათვის, საკრებულოს დეპუტატებისათვის. გავუზიარებთ აქ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე, გადავცემთ „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ მიერ მომზადებულ პრეზენტაციებს, სადაც დეტალურად არის გაწერილი კრებების დადგენა და ორგანიზება.“- აღნიშნა ქედის მუნიციპალიტეტის გენდერულმა მრჩეველმა, თეა შარაშიძემ.

შეხვედრა რეგიონალურთან  
ქალებისა და მამაკაცების თანაბარი დასწრების უზრუნველყოფის თემაზე



კრებების ეფექტურად დაგეგმვისა და საზოგადოების დასწრების



უზრუნველსაყოფად ქედაში მიმდინარეობდა წინა მოსამზადებელი სამუშაოები. ქალთა ჩართულობის გასაზრდელად, მიმდინარე წლის 20 თებერვალს ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან და სპეციალისტებთან მოეწყო საინფორმაციო სახის შეხვედრა, სადაც გენდერულმა მრჩეველმა ისაუბრა სოფლის კრებებზე ქალების დასწრების აუცილებლობაზე, ასევე, თითოეულ მათგანს გადაეცა „12 წესი სოფლის კრებებზე მამაკაცებისა და ქალების თანაბარი დასწრების უზრუნველყოფის თაობაზე“, რომელიც შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებულმა და mercy corps მიერ იმპლემენტირებულმა „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამამ“ შეიმუშავა.



2016 წლის 25 თებერვალს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის სამინისტროს“ წარმომადგენელმა კობა ქიმაძემ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, საკრებულოს წევრებთან, გამგებლის წარმომადგენლებთან და თანაშემწესთან გამართა სამუშაო შეხვედრა. სხვდასხვა საკითხებთან ერთად გენდერული მრჩევლის მიერ განიმარტა, შევიდეს ცვლილება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებულ მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმში, რომელშიც გაიმიჯნებოდა დამსწრეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს - ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების და მმართველობის პროცესში წარმოადგენს აუცილებლობას იმისათვის, რომ შეიქმნას აქტიური საზოგადოება. მამაკაცებთან შედარებით, ქალებს გააჩნიათ განსხვავებული საჭიროებები და პერსპექტივები.

ქედის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულის 60 სოფელში მიმდინარე წლის 4 მარტიდან 29 მარტის ჩათვლით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული კრებები ინტენსიურად მიმდინარეობდა, რომლის მიზანი პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი პრიორიტეტების განსაზღვრა იყო. სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული პოლიტიკის თანახმად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მიზნად ისახავს სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსებას, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა- რეაბილიტაციას, კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებას. პროგრამის მიზანია ამ პროცესებში მოქალაქეობის ჩართულობის მხარდაჭერა.

სოფლის კრებებს ორგანიზებას გამგებლის წარმომადგენლები უწევდნენ და მოსახლეობასთან ერთად აწყობდნენ საჯარო განხილვას, რომელსაც მუნიციპალური ცენტრიდან ესწრებოდნენ - გამგებელი, მოადგილე, შესაბამის ერთეულში საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი და გამგებლის თანაშემწე გენდერული თანასწორობის საკითხებში. 4 მარტიდან 29 მარტის ჩათვლით კრებები 13-15 -17 საათზე მიმდინარეობდა. მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, გამოყოფილი თანხით განისაზღვრა სოფლისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტები, რაც კრებების ოქმში აისახა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ვესწრებოდი მოსახლეობასთან შეხვედრებს და ვუზრუნველყოფდი ქალთა მონაწილეობას სოფლის კრებებზე, მათი როლის გაზრდასა და ჩართულობას დაგეგმილ ღონისძიებებში. მსგავს შეხვედრებს მეორედ ესწრებოდნენ სოფლად მცხოვრები ქალბატონები. გამგებელი შეხვედრებზე განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ქალების დასწრების აუცილებლობას და მნიშვნელობას, „ქალების როლის გაზრდას დაგეგმილ ნებისმიერ ღონისძიებაში ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა. თქვენ უნდა იყოთ არა შორიდან მაყურებლები, არამედ ინიციატორები, განმახორციელებლები უნდა შეიცვალოს ნიჰილისტური განწყობილება, თქვენ უკეთ იცით თქვენი სოფლის საჭიროებები, ამიტომაც გთხოვთ მაქსიმალურად ჩაერთოთ მსგავსი სახის დაგეგმილ ნებისმიერ აქტივობაში და თავად განსაზღვრეთ სოფლისთვის სასიკეთო საქმეები“. ქალთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ თუ გადავხედავთ წინა წლების მონაცემებს, აღმოვაჩინეთ, რომ ქალთა დასწრება სოფლის კრებებზე საერთოდ არ ფიქსირდება, მათთვის არავის უკითხავს აზრი - ბოლო ორი წელია კი ეს ტენდენცია შეიცვალა. 2015 წელს კრებებს ქალების მხოლოდ (22,15%) დაესწრო, წელს კი ეს მონაცემები 43 %-მდე გაიზარდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გენდერული მრჩეველი და მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

2016 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ქედის მუნიციპალიტეტში პრიორიტეტული სამუშაოების სამეული ასე გამოიყურება: სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სოფლის სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის სამუშაოები, ცალკე აღებული პრიორიტეტებიდან ყველაზე დიდი ნაწილი მეორე პრიორიტეტზე მოდის.

პრიორიტეტების განსაზღვრაში მონაწილეობას იღებდნენ ქალები და საუბრობდნენ მიმდინარე და განხორციელებულ პროგრამებზე „წინა წლებთან შედარებით, სადაც იკვეთებოდა არარეალისტური დაგეგმვის პრაქტიკა, ხშირად საკმაოდ შეზღუდული თანხებით ისახებოდა რამდენიმე პრიორიტეტი, შედეგად კი ვერც ერთის შესრულება ვერ ხერხდება; ბუნდოვანია თანხების ხარჯვაზე კონტროლის მექანიზმი, სოფლებში უნდა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფები, ასევე ჩნდება კითხვები თანხის ხარჯვის ნაწილში“.

- წინა წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების შეზღუდული მასშტაბი უმეტეს შემთხვევაში არ იძლევა გზების რეალურად რეაბილიტაციის საშუალებას. სამუშაოები შემოიფარგლება გზების მომანდაკებით ან ორმოების ღორღით ამოვსებით. მას არ აქვს ხანგრძლივი ეფექტი, რაც სოფლის დახმარების პროგრამის ერთ-ერთი მიზანია. რიგ სოფლებში წინა წელს მომანდაკებული გზის უბნები წელს უკვე მოსამანდაკებელია, ამიტომაც გთავაზობთ, ჩვენს სოფელში გამოყოფილი თანხით მოხდეს მზა ბეტონის შექმნა და დასხმა, რასაც ექნება ხანგრძლივი ეფექტი - განცხადა სოფელ ძენწმანის მკვიდრმა, მარინა ბერიძემ.



წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კანტაურში მოსახლეობის მიერ ორი პრიორიტეტი დასახელდა, სარწყავი არხის მოწყობა კაცების, ხოლო სარიტუალო ინვენტარის შექმნა ქალების მიერ, საბოლოოდ ხმათა უმრავლესობით კენჭისყრით ქალების მიერ ინიცირებული პრიორიტეტი აისახა კრების ოქმში.

ზოგადად, პრიორიტეტების განსაზღვრაში ქალები დომინირებდნენ, თამამად ასახელებდნენ სოფლის წინაშე მდგარ პრობლემებს, გარე განათებები, სკვერები, ატრაქციონები, ინტერნეტი, შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება, და ა. შ. ეს ის მოკლე ჩამონათვალია, რაც ადგილობრივების მიერ დასახელდა.



სოფლის კრებები გაშუქდა ადგილობრივი მედია საშუალებებით, ასევე დაიდო ნიუსები ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე [www.keda.ge](http://www.keda.ge)

### **სოფლის კრებები 2016-ის სტატისტიკა და ანალიზი**

ქედის მუნიციპალიტეტის 60 სოფელში 2015 წლის მარტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებს სულ დაესწრო - **3474** ადამიანი: **აქედან 1979 (56,97%) კაცი. 1495 (43,03%) ქალი.**

**ქედის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მონაცემები**

2016 წლის მონაცემები სოფლის კრებებზე ქალთა დასწრების შესახებ სოფლების მიხედვით. (იხ. დანართი 1)

ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სრულწლოვანი მამაკაცები	ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სრულწლოვანი ქალები	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხილვაზე დამსწრეთა რაოდენობა	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხილვაზე დამსწრეთა კაცთა რაოდენობა %		სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხილვაზე დამსწრეთა ქალთა რაოდენობა %	
7295	7184	3474	1975	56,96%	1495	43,03%

ქედაში მეორე წელია ფიქსირდება ქალების დასწრება, ისინი აქტიურობდნენ და თამამად ასახელებდნენ პრობლემებს, მიღებულ გადაწყვეტილებებს კი კრებების ოქმში ხელმოწერებით ადასტურებდნენ.

გენდერული მრჩეველი აქტიურად მუშაობს გამგებლის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში, სწორედ მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობის შედეგია ქალების ჩართულობის გაზრდა 22%-დან 43%-მდე.

გარდა ამისა, შეხვედრების პარალელურად მიმდინარეობდა მოსახლეობის გამოკითხვა სოფელში ლიდერი ქალბატონების გამოსავლენად, ასევე ვინ არის წარმოდგენილი თემისთვის მნიშვნელოვან თანამდებობაზე? ვინ არის სკლის დირექტორი? ექიმი? ბაღის ხელმძღვანელი? აღმოჩნდა, რომ სოფლის სკოლებში, ბაღებში, მედ-პუნქტებში დასაქმებულთა უმრავლესობა ქალია და სხვადასხვა წამყვანი პოზიციები უჭირავთ სკოლის დირექტორების, სოფლის კულტურის ცენტრების ხელმძღვანელების, ბაღების ფილიალების მენეჯერების თანამდებობები. სოფლებში ყველაზე აქტიურ ქალბატონებს პედაგოგები და სოფლის კულტურის ცენტრის თანამშრომლები წარმოადგენენ.

სოფლის კრებების დასრულების შემდეგ, ჩავატარეთ სატელეფონო გამოკითხვა, კერძოდ, მიიღეთ თუა არა მონაწილეობა პროგრამის პრიორიტეტების განსაზღვრაში, მიღებული პასუხები - ნაწილი ამბობს, რომ უშუალოდ მიიღო მონაწილეობა, ნაწილის თქმით კი მონაწილეობა მიიღო ოჯახის წევრმა. გამოკითხულთა ერთი ნაწილი ადასტურებს, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით კრებების ჩატარების შესახებ მოსახლეობა იყო ინფორმირებული, ინფორმაცია მიიღეს კრებების ჩატარებისა და დროის შესახებ, როგორც სოფლის მთავარი სპეციალისტებისაგან, ასევე, საინფორმაციო განცხადებები იყო გამოკრული სოფლის ცენტრებსა და გაჩერებებზე.

სოფლის კრებების მონაწილეთა მიერ მხარდაჭერილი პროექტების პირველ ადგილზე 90% დგას გზების რეაბილიტაციის საკითხი, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები 4%.



სარიტუალო სახლების მოწყობა, აღჭურვა 2%. სხვა სამუშაოები 4% ..აღნიშნული პროექტების საჭიროებებს ქალები და კაცები თანაბრად განსაზღვრავდნენ.

**სოფლის კრებებზე დამსწრეთა რაოდენობა, მხარდაჭერილი პროექტები და სოფლისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი.**

ქედის მუნიციპალიტეტი		
	პრიორიტეტები	
1	სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები	4%
2	მზა ბეტონის შექმნა	90%
3	სარიტუალო სახლების მოწყობა, აღჭურვა	2%
4	სხვა სამუშაოები	4%

პრიორიტეტები ყველა სოფელში ერთმანეთის იდენტურია: გზების რეაბილიტაცია, რკინა-ბეტონის საფარით გზების მოწყობა, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, სარიტუალო სახლების მოწყობა და ა.შ.

**დანართი 1**

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2016**

ქედის მუნიციპალიტეტის 9 ადმინისტრაციული ერთეულის 60 სოფელში კრებები მ/წ 4 მარტს დაიწყო და 30 მარტს მერისის ადმინისტრაციული ერთეულით დასრულდა.

ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხილვაზე დამსწრეთა რაოდენობა	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხილვაზე დამსწრე კაცთა რაოდენობა 56,96%	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხილვაზე დამსწრე ქალთა რაოდენობა 43,03%
პირველი მაისი	კოლოტაური	259	49	40
	აგარა		47	32
	პირველი მაისი		48	43
ცხმორისი	გობრონეთი	476	35	28
	ჩეტკიძეები		35	21
	ახო		60	39
	ცხმორისი		60	49
	კოკოტაური		54	31
	გეგელიძეები		41	23
წონიარისი	აბუქეთა	290	49	35
	წონიარისი		55	27
	ტიბეთა-კანტაური		47	36
	ვარჯანისი		25	16
ზვარე	ზესოფელი	212	22	19
	სირაბიძეები		30	15
	ვაიო		29	20
	ზვარე		18	14
	კვამტა		25	20
დანდალო	ბალაძეები	342	19	15

	ჯალბაშვილები		27	18
	დანდალო		31	12
	მოსიაშვილები		25	22
	ტაკიძეები		25	10
	ხარაულა		57	37
	გოგიაშვილები		25	12
ქედა	სოფ. ქედა	462	22	13
	აქუცა		25	19
	ცხემნა		21	14
	კორომხეთი		23	14
	ძენწმანი		32	23
	არსენაული		19	14
	ხუნკუდა		24	16
	ზენდიდი		31	15
	შევაბური		19	18
	ორცვა		35	20
	გულეზი		33	12
მახუნცეთი	ნამლისევი	688	23	26
	ზედა მახუნცეთი		33	27
	მილისი		20	28
	უჩხითი		47	33
	ქვედა მახუნცეთი		45	21
	ზუნდაგა		43	36

	ქვედა ბზუბზუ		41	32
	ზედა ბზუბზუ		40	32
	ქოსოველი		16	18
	დოლოგანი		28	21
	ჭინკაძეები		26	12
	ჭალახმელა		26	14
ოქტომბერი	მეძიბნა	312	32	31
	გოგინძეები		27	25
	აგოთა		23	16
	ოქტომბერი		49	37
	კუჭულა		36	36
მერისი	სოფ. მერისი	379	49	42
	სიხალიძეები		27	22
	გარეტყე		12	19
	გუნდაური		34	34
	ინაშარიძეები		22	30
	გუნდაური		16	22
	სილიბაური		24	26
	ნამონასტრევი		18	36
<b>ჯამი:</b>		<b>სულ: 3 474</b>	<b>1 979</b>	<b>1495</b>

დანართი 2

**2016 წლის "სოფლის მხარდაჭერის პროგრამით"  
ქედის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი ღონისძიებები**

№	თემი	№	სოფელი	№	ღონისძიების დასახელება	სოფელზე გამოყოფილი თანხა	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	6	7	8	9	10
1	დანდალოს თემი	1	მოსიაშვილები	1	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	8,403	8,403	
		2	ტაკიძეები	2	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,042	9,042	
		3	ჯალაბაშვილები	3	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	13,920	13,920	
		4	გოგიაშვილები	4	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	8,303	8,303	
		5	დანდალო	5	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	14,690	14,690	
		6	ხარაულა	6	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	22,045	20,845	
				7	ლექტრო წისქვილის ქსელში ჩართვა		1,200	
		7	ბალაძეები	8	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	6,167	6,167	
<b>ჯამი</b>						<b>82,570</b>	<b>82,570</b>	
2	ცხმორისის თემი	8	ახო	9	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	20,182	20,182	
		9	ჩეტკიძეები	10	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	8,500	7,200	
				11	ლითონის გვარლის (ტროსი) შექმნა		1,300	
		10	გობრონეთი	12	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,085	9,085	
		11	ცხმორისი	13	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	19,440	19,440	
		12	გეგელიძეები	14	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	14,930	14,930	
		13	კოკოტაური	15	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	17,350	17,350	
<b>ჯამი</b>						<b>89,487</b>	<b>89,487</b>	
3	წონიარისის თემი	14	ვარჯანისი	15	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	8,985	8,985	
		15	წონიარისი	16	საცალფეხო ხიდის რემონტი ჯაიმელას უბანში	18,960	3,600	
				17	სარიტუალო ინვენტარის შექმნა		300	

				18	სანიაღვრე არხის მოწყობა სვანიერის უბანში		1,760	
				19	პოლიეთილენის მილების შექმნა		5,200	
				20	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად		8,100	
	16	ტიბეთა-კანტაური		21	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	8,970	7,320	
				22	სარიტუალო ინვენტარის შექმნა		1,650	
	17	აბუქეთა		23	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	13,935	12,560	
				24	სარიტუალო ინვენტარის შექმნა		1,375	
<b>ჯამი</b>						<b>50,850</b>	<b>50,850</b>	
4	ზვარის თემი	18	ზვარე	25	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	7,905	7,905	
		19	ზესოფელი	26	სოფლის სახლის რემონტი	8,230	1,000	
				27	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად		7,230	
		20	ვაიო	28	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	15,272	15,272	
		21	კვამტა	29	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,240	9,240	
		22	სირაბიძეები	30	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,582	8,582	
				31	პოლიეთილენის მილების შექმნა		1,000	
<b>ჯამი</b>						<b>50,229</b>	<b>50,229</b>	
5	დაბა ქედის თემი	23	ზენდიდი	32	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	10,138	10,138	
		24	გულეები	33	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,298	9,298	
		25	ხუნკუდა	34	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	6,305	6,305	
		26	ცხემნა	35	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	6,248	6,248	
		27	კორომხეთი	36	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	8,074	8,074	
		28	ტენწმანი	37	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	8,372	8,372	
		29	ორცვა	38	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,140	9,140	
		30	არსენაული	39	პოლიეთილენის მილების შექმნა	5,590	1,370	
				40	სოფლის სახლის რემონტი		600	
				41	საცალფეხო ბილიკის მოწყობა		3,620	
31	შევაბური	42	საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა	5,466	5,466			

		32	აქუცა	43	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	10,606	10,606	
		33	სოფ. ქედა	44	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,085	3,085	
				45	საცალფეხო ბილიკის მოწყობა		6,000	
		<b>ჯამი</b>				<b>88,322</b>	<b>88,322</b>	
6	პირველი მასის თემი	34	პირველი მასის	46	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	17,007	17,007	
		35	კოლოტაური	47	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	16,410	16,410	
		36	აგარა	48	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,312	9,312	
		<b>ჯამი</b>				<b>42,729</b>	<b>42,729</b>	
7	მახუნცეთის თემი	37	დოლოგანი	49	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	10,253	10,253	
		38	ქალახმელა	50	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	6,206	6,206	
		39	ჭინკაძეები	51	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	8,188	8,188	
		40	ზედა მახუნცეთი	52	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,284	9,284	
		41	ქვედა მახუნცეთი	53	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	10,578	10,578	
		42	ქვედა ბზუბზუ	54	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,312	9,312	
		43	ზედა ბზუბზუ	55	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,924	9,924	
		44	ზუნდაგა	56	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,170	9,170	
		45	უჩხითი	57	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	9,853	9,853	
		46	ნამლისევი	58	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	6,362	5,362	
				59	წყლის წისქვილისათვის ინვენტარის შექმნა		1,000	
		47	მილისი	60	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	6,334	6,334	
		48	ქოსოფელი	61	სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზის აშენება	5,100	1,500	
62	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად			3,600				
		<b>ჯამი</b>				<b>100,564</b>	<b>100,564</b>	
8	ოქტომბრის თემი	49	ოქტომბერი	63	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	8,842	8,842	
		50	გოგინძეები	64	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	5,630	5,630	
		51	მეძიბნა	65	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	7,935	7,935	
		52	აგოთა	66	მზა ბეტონის შექმნა საავტომობილო გზაზე დასაგებად	6,195	6,195	

		53	კუჭულა	67	მზა ბეტონის შეძენა საავტომობილო გზაზე დასაგებად	8,344	8,344	
		<b>ჯამი</b>				<b>36,946</b>	<b>36,946</b>	
9	მერისის თემი	54	მერისი	68	მზა ბეტონის შეძენა საავტომობილო გზაზე დასაგებად	13,980	12,480	
				69	ინვენტარის შესანახი შენობის მოწყობა		1,500	
		55	სილიბაური	70	მოსაცდელის მშენებლობა გარეკუნის უბანში	6,080	2,500	
				71	მზა ბეტონის შეძენა საავტომობილო გზაზე დასაგებად		3,580	
		56	ნამონასტრევი	72	სოფლის სახლის რემონტი	5,370	1,800	
				73	სასაფლაოებთან მისასვლელი საცალფეხო ბილიკის მოწყობა და ღობის შეკეთება		3,570	
		57	ინაშარიძეები	74	მზა ბეტონის შეძენა საავტომობილო გზაზე დასაგებად	8,871	8,871	
		58	გარეტყე	75	სარიტუალო ინვენტარის შეძენა	5,850	5,850	
		59	სიხალიძეები	76	მზა ბეტონის შეძენა საავტომობილო გზაზე დასაგებად	6,120	6,120	
		60	გუნდაური	77	საცალფეხო ხიდის რემონტი ჭალათის უბანში	8,860	1,760	
78	სარწყავი არხის რემონტი ხალვაშების უბანში			1,760				
79	სასმელი წყლის სისტემის რემონტი ორთამელის უბანში			1,760				
80	სარწყავი არხის რემონტი კაპარტყის უბანში			3,580				
		<b>ჯამი</b>			<b>55,131</b>	<b>55,131</b>		
<b>სულ ჯამი</b>					<b>596,828</b>	<b>596,828</b>		

*ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე*

*გენდერული თანასწორობის საკითხებში*

*თეა შარაშიძე*

*2016 წელი*



